



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
“ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ): 07–08 აპრილი 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 3 ივნისი 2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია Electricity Industry Technology
უმაღლესი განათლების საფეხური	II (მაგისტრატურა)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის მაგისტრი Master of Energy and Electrical Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0713 ელექტრობა და ენერჯია 0713 Electricity and Energy
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №61 07.09.2018

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	შალვა კვიციანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ავთანდილ თავხელიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გივი გავარდაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ გვიანიშვილი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით კაკიაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“ (შემდგომში - პროგრამა) ხორციელდება სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტში.

პროგრამა მიზნად ისახავს ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სექტორის კონკურენტუნარიანი, ბაზარზე ორიენტირებული, საინჟინრო-ტექნიკური ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების მქონე სპეციალისტის მომზადებას.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS-ის კრედიტს (ერთი კრედიტი = 25 სთ; სულ - 3000 სთ). პროგრამის ხანგრძლივობა - 4 სემესტრი (ერთი სემესტრი 15 კვირა).

პროგრამა შედგება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისაგან: სასწავლო კომპონენტის (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი) მოცულობა: 90 კრედიტი; სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი, სავალდებულო) მოცულობა: 30 კრედიტი.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და აწსუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები, მათ შორის - სავალდებულო გამოცდა სპეციალობაში). სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, პროგრამაზე ჩაირიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 6 22 0000261684, 15/03/2022) საფუძველზე 2022 წლის 07-08 აპრილს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემადგენლობა: შალვა კვიციანი, ავთანდილ თავხელიძე, გივი გვარდაშვილი, თამარ გვიანიშვილი, დავით კაკიაშვილი) მიერ განხორციელდა ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - დაწესებულება) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“ (შემდგომში - პროგრამა) შეფასების - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან (შემდგომში - აკრედიტაციის სტანდარტები) შესაბამისობის დადგენის - მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (შემდგომში - ექსპერტთა ჯგუფი) ვიზიტის (შემდგომში - ვიზიტი) დაწყებამდე ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდათ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მისი დანართები, დაზუსტდა ვიზიტის დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები. დისტანციური ფორმით (Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით) ჩატარდა სამუშაო შეხვედრა: ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, ჯგუფის წევრებმა განიხილეს ინფორმაცია, ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის შესახებ, შეაჯერეს კითხვები და საკითხები, რომლებიც საჭიროებდნენ დაზუსტებას ან/და დამატებით განმარტებას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტი წარიმართა დაგეგმილი დღის წესრიგის მიხედვით, შეფერხების გარეშე: 7 აპრილს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეოწმდა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები, ა.შ), ასევე ჩატარდა შეხვედრა დაწესებულების წარმომადგენლებთან (რექტორი, რექტორის მადგილე, კანცლერი, საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი, დაწესებულების და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი და სხვა წარმომადგენლები); 08 აპრილს ექსპერტები შეხვდნენ ვიზიტის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ჯგუფებს და დაწესებულების წარმომადგენლებს (თვითშეფასების ჯგუფის წევრებს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მაგისტრანტების ხელმძღვანელებს, მაგისტრანტებს, კურსდამთავრებულებს, პოტენციურ დამსაქმებელს). სამუშაო შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ, საქმიან გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით.

დაწესებულების ადმინისტრაციამ უზრუნველყო ყველა პირობა იმისათვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტის ბოლოს ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ვიზიტის შედეგად მიღებული წინასწარი მიგნებები.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- სტანდარტი #1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (სტანდარტის კომპონენტები 1.1 და 1.2 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;
- სტანდარტი #2 - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (სტანდარტის კომპონენტები 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5 და 2.6 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“);

- სტანდარტი #3 - სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (სტანდარტის კომპონენტები 3.1. და 3.2. შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“);
 - სტანდარტი #4 - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (სტანდარტის კომპონენტები 4.1, 4.2 და 4.4. შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო სტანდარტის კომპონენტი 4.3. შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“);
 - სტანდარტი #5 - სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან (სტანდარტის კომპონენტები 5.1, 5.2. და 5.3 შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“).
- **რეკომენდაციები**
 - რეკომენდებულია გადაიხედოს და წესრიგში მოყვანილ იქნეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც საჭიროებენ მოქმედების ვადის გაგრძელებას და/ან არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორებას.
 - **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
 - მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს უცხოური ენა/ენები, რომლის/რომელთა ფლობა მოეთხოვება მაგისტრანტობის კანდიდატებს.
 - მიზანშეწონილია პროგრამაში სარელეო დაცვის მიმართულებით საკითხებზე ყურადღების გამახვილება.
 - მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს მაგისტრანტების ინფორმირება სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების, მათ შორის ციტირების, წესების შესახებ, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას განხორციელდეს ნაშრომების ამ კომპონენტის სათანადო შემოწმება.
 - მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს - წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.
 - **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
 - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ტექნიკურად და ტექნოლოგიურად აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც სრულად და ოპერატიულად უზრუნველყოფს მომხმარებელთა მომსახურებას, წიგნადი ფონდის დაცულობას, რესტავრაციასა და სისტემატურ განახლებას, მრავალფეროვანი ელექტრონული სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას.
 - **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ინფორმაცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მითითებული პოზიციის განხილვის შედეგების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების არგუმენტირებულ პასუხში მოყვანილი მოსაზრებების დეტალური განხილვის შედეგად:

- დასკვნის პროექტში არსებული რეკომენდაცია: რეკომენდებულია გადაიხედოს და წესრიგში მოყვანილ იქნეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც საჭიროებენ მოქმედების ვადის გაგრძელებას და/ან არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორებას.

უსდ-ს პასუხი: რეკომენდაციას ძირითადად ვეთანხმებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებათა ნაწილი უვადოა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში და ზოგადად უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, ამ მემორანდუმების ნაწილი უვადოა, სადაც არსებობს ჩანაწერი: მხარეთა შეთანხმების საფუძველზე: მემორანდუმის მოქმედების ვადაა 4 წელი. აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ მემორანდუმი ავტომატურად გახანგრძლივდება მომდევნო 2 წლის ვადით, თუკი რომელიმე მხარე არ განაცხადებს მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტის შესახებ ვადის გასვლამდე 30 დღით ადრე. მემორანდუმების ვადებზე, მათი გაგრძელების შესაძლებლობებსა და აუცილებლობებზე მონიტორინგს ახორციელებს საგარეო ურთიერთობათა და განვითარების სამსახური

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: უნივერსიტეტი ძირითადად ეთანხმება რეკომენდაციას მემორანდუმებთან დაკავშირებით. რეკომენდაცია რჩება უცვლელი და უნდა შესრულდეს მემორანდუმების მიმართ სადაც მიგნებული იქნა ხარვეზები.

- დასკვნის პროექტში არსებული რჩევა: მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს უცხოური ენა/ენები, რომლის/რომელთა ფლობა მოეთხოვება მაგისტრანტობის კანდიდატებს.

უსდ-ს პასუხი: პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ გადაიხედა პროგრამის წინაპირობა, კერძოდ, დაკონკრეტდა პროგრამით მოთხოვნილი უცხო ენა და კურიკულუმის წინაპირობაში ჩაიწერა შემდეგი სახით „გამოცდის ჩაბარება უცხოურ ენაში (ინგლისური). აპლიკანტი გათავისუფლდება გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც დაადასტურებს უცხოური ენის (ინგლისურის) ცოდნას B2 დონეზე.“

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: უნივერსიტეტი ეთანხმება რჩევას დაშვების წინაპირობაში ენის დაკონკრეტების შესახებ. რჩევა რჩება უცვლელი.

- დასკვნის პროექტში არსებული რჩევა: მიზანშეწონილია პროგრამაში სარელო დაცვის მიმართულებით საკითხებზე ყურადღების გამახვილება.

უსდ-ს პასუხი: „სარელო დაცვა და ავტომატიკა“ წარმოადგენს, ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგიების შესწავლის თვალსაზრისით, ერთ-ერთ საბაზისო დისციპლინას და იგი შეტანილია საბაკალავრო პროგრამაში „ელექტრული ინჟინერია“. სასწავლო კურსი 5 კრედიტიანია, აქვს ძლიერი ლაბორატორიული ბაზა. განსახილველი სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსი „სასისტემო ავტომატიკა“ ახდენს სარელო დაცვის საკითხების შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას (იხ. დანართი შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებიდან).

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: უნივერსიტეტი ეთანხმება სარელო დაცვის მიმართულებით ცოდნის საჭიროებას. ინტერვიუს დროსაც დამსაქმებლების მხრიდან აღნიშნული იყო ამ ცოდნების აუცილებლობა. შესაბამისად რჩევა რჩება უცვლელი.

- დასკვნის პროექტში არსებული რჩევა: მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს მაგისტრანტების ინფორმირება სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების, მათ შორის ციტირების, წესების შესახებ,

ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას განხორციელდეს ნაშრომების ამ კომპონენტის სათანადო შემოწმება.

უსდ-ს პასუხი: სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის, მისი გაფორმების და შეფასების პროცესს უნივერსიტეტში არეგულირებს აწსუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის №38 (20-21) დადგენილებით დამტკიცებული „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“. დოკუმენტში სრულად არის გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და შეფასების ეტაპები, წესები და პროცესის ორგანიზება. შესაბამისად ეს დოკუმენტი (რომელიც წარმოდგენილია დანართი-12 - ში) სრულ ინფორმაციას იძლევა რჩევაში მითითებული კომპონენტების შესახებ და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ბიბლიოთეკაში და დეპარტამენტებში. გარდა ამისა, მაგისტრანტები გადიან კონსულტაციებს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან, ტარდება ტრენინგები სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე გატარების პროცესთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: გასაუბრების დროს მაგისტრანტებს არ ჰქონდათ მკაფიო ცოდნა სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესების და ინსტრუქციების შესახებ, შესაბამისად ვთლით, რომ საჭიროა მუშაობის გაძლიერება ამ კუთხით. შესაბამისად რჩევა რჩება უცვლელი.

- დასკვნის პროექტში არსებული რჩევა: მიზანშეწონილია „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციაში“ გასწორდეს ტერმინოლოგიური შეუსაბამობები.

უსდ-ს პასუხი: უსდ-ს მხრიდან დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი მოწოდებულ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკების საქალაქო დონეზე. აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით №39 (20/21), 15.07.2021 ცვლილებები განხორციელდა „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციაში (დანართი 4-EP-QA 1.1.). დოკუმენტში გასწორებულია რჩევაში მითითებული ტერმინოლოგიური შეუსაბამობები.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის დანართად წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტამდე (დამტკიცების თარიღი 15.07.2021) და გააუქმა ზემოთ მითითებული რჩევა.

- დასკვნის პროექტში არსებული რჩევა: მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს - წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას

უსდ-ს პასუხი: უცხოელი ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება სავალდებულოა სადოქტორო საფეხურის პროგრამებისათვის. მარეგულირებელი დოკუმენტები არ თვლის სავალდებულოდ სამაგისტრო პროგრამის იმავე დონის შეფასებას, თუმცა ექსპერტთა მოსაზრება საყურადღებოა პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მითითებული რჩევა და დაწესებულების მზაობა შემდგომში განიხილოს ამ რჩევის გამოყენების შესაძლებლობა ხელს შეუწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და პროგრამის შემდგომ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის პროექტში არსებული რჩევა უცვლელად.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღსანიშნავია დარგის მნიშვნელობა რეგიონის, ქვეყნის მდგრადი განვითარების და ენერგოდამოუკიდებლობის თვალსაზრისით და შესაბამისი მიზნების მქონე საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროება. წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“ (შემდგომში - პროგრამა) მიზნები ითვალისწინებს ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც:

- მიღებული კომპეტენციებით უპასუხებს ბაზრის მოთხოვნებს და მაღალ დონეზე განახორციელებს ტექნოლოგიურ, საორგანიზაციო-მმართველობით და საპროექტო საქმიანობას.
- ფლობს ღრმა, სისტემურ და ფუნდამენტურ ცოდნას ენერჯის წარმოების, გადაცემის, განაწილების და მოხმარების ტექნოლოგიებში.
- ფლობს რაოდენობრივი შეფასებების, ენერგეტიკული პრობლემების ანალიზის, პროგნოზირების, კაპიტალდაზღვევების და დანახარჯების გაანგარიშების, გარემოზე ზეგავლენის შეფასების, საქმიანობის ეფექტური დაგეგმვის და მართვის უნარებს.

პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია შრომის ბაზარის საჭიროებები, ტენდენციები და პერსპექტივები, დარგობრივი ორგანიზაციების ინტერესის და მოთხოვნის ზრდა ელექტროენერგეტიკული სფეროს მაღალკვალიფიციური კადრების, მათ შორის პროგრამის კურსდამთავრებულების მიმართ.

პროგრამის მიზნები შემუშავებული და გაზიარებულია პროგრამის განმახორციელებლების და პოტენციური დამსაქმებლების მიერ, რაც დასტურდება მათთან ინტერვიუს შედეგებით. პროგრამა გარკვეულწილად თავსებადია უცხოეთის უსდ-ების პროგრამებთან, რაც იძლევა, მაგალითად, გაცვლითი პროგრამების განხორციელების შესაძლებლობას.

პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, ასახავს დარგის განვითარებაში წვლილის შეტანას როგორც კვალიფიციური კადრების მომზადებით, ასევე სამეცნიერო საქმიანობით, არის რეალისტური და მიღწევადი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
http://atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=329&Itemid=288&lang=en
- უნივერსიტეტის მისია: <http://atsu.edu.ge/index.php/mission-geo>
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით: კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, სტუდენტი, აკადემიური პერსონალი. გაზიარებულია საერთაშორისო გამოცდილება და ბაზრის მოთხოვნები. პროგრამის სწავლის შედეგები პასუხობს პროგრამის მიზნებს (იხ. დოკუმენტი „სამაგისტრო პროგრამის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“ მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა“).</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:</p> <ul style="list-style-type: none"> • აანალიზებს ელექტროენერგეტიკულ სისტემებში მიმდინარე ელექტრომაგნიტურ და ელექტრომექანიკურ პროცესებს, აფასებს ელექტრული სისტემის მუშაობის ნორმალურ, გარდამავალ და ავარიულ რეჟიმებს; • აანალიზებს ენერგეტიკის სფეროს ახალ მეცნიერულ მიღწევებს და ტექნოლოგიებს; • აანალიზებს ელექტროენერგეტიკულ სისტემებში გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებებსა და ტექნოლოგიური პროცესების შესახებ მიღებულ ცოდნას; • აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს ელექტროენერგეტიკულ ობიექტებზე მიმდინარე მოვლენებს და პროცესებს; • გაიანგარიშებს ელექტროენერგეტიკული ობიექტების ძირითადი და დამხმარე მოწყობილობების ელემენტებისა და სქემების, ელექტროენერგეტიკული დანადგარების მუშაობის რეჟიმებსა და ძირითად საბაზო ენერგეტიკულ მახასიათებლებს; • შეისწავლის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში წარმოქმნილ ავარიულ სიტუაციებს და სახავს მათი ლიკვიდაციის გზებს; • არსებული მეთოდებით და მათი ახლებურად ინტერპრეტირების გზით იკვლევს ელექტრული ენერჯის ხარისხს და სახავს მისი განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრების (ძაბვა, სიხშირე) სახელმწიფო სტანდარტის ფარგლებში დაბრუნების (რეგულირების) ღონისძიებებს; • ახორციელებს დარგისათვის დამახასიათებელ საპროექტო სამუშაოებს, გეგმავს სასერვისო და საინსტალაციო სამუშაოებს; • გეგმავს დარგის შესაბამის ტექნოლოგიურ პროცესებს; • მონაწილეობს საწარმოო ობიექტების მუშაობის რეჟიმებისა და ძირითადი მახასიათებლების

<p>ბის შერჩევასა და გაანგარიშებაში;</p> <ul style="list-style-type: none"> • ახორციელებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური ან ტექნოლოგიური პრობლემის იდენტიფიკაციას, ფორმულირებას და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს ეფექტური მიდგომების გამოყენებით; • აწარმოებს კვლევით საქმიანობას პროფესიული ეთიკის დაცვით. წარადგენს კვლევების შედეგებს პროფესიულ და აკადემიურ გარემოში; • ითვალისწინებს ენერგეტიკის ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობის დროს წარმოქმნილ საშიშროებებს კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას, განსაკუთრებით, ავარიული რეჟიმების ლიკვიდაციის დროს; • საზღვრავს საკუთარი პროფესიული ზრდის აუცილებლობასა და შესაძლებლობებს, მოიძიებს შესაბამის ინფორმაციასა და რესურსებს შემდგომი პროფესიული ზრდის მიზნით. <p>ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში სხვადასხვა ფორმით ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.</p> <p>აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს პროგრამის სწავლის შედეგებს და მათი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების კავშირს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები მრავალფეროვანია ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ შეფასების პრინციპს რაც უზრუნველყოფს უფრო მაღალი სიზუსტით გაზომვას.</p> <p>სტუდენტები იცნობენ ცოდნის შეფასების მეთოდებს და კრიტერიუმებს, მათ ადეკვატურობას სასწავლო კურსის სპეციფიკასთან. მათთვის ცნობილია თუ რა აქტივობაში მიიღეს შეფასება და როგორი.</p> <p>შედეგების მიღწევადობა ორიენტირებულია სამიზნე ნიშნულებზე და ხორციელდება მონიტორინგი უკუკავშირის გამოყენებით.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მაგისტრატურის საფეხურის აღმწერით განსაზღვრულ კომპეტენციების დონესთან, თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან, არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს (მოიცავს დარგისთვის აქტუალურ კომპეტენციებს - ასახავს პროცესების ანალიზის, ახალი ცოდნის მიღების, დაგეგმვის, გაანგარიშების, კვლევის და პროფესიული ზრდის ცოდნასა და უნარებს) და არის აქტუალური, რაც დაადასტურეს დამსაქმებლებმა ინტერვიუს დროს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; ○ პროგრამის სასწავლო გეგმა; ○ პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; ○ „სამაგისტრო პროგრამის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“ მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა“; ○ „კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსებს შორის“; ○ „სწავლის შედეგების შეფასების სქემა“; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამაზე მიღების წინაპირობები (მითითებულია პროგრამის კურსკულუმში) შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას: პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე. სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით. ასევე, პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლია დაწესებულების ან სხვა უსდ-ს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტს მობილობის გზით, საქართველოს კანონმდებლობისა და დაწესებულებაში მოქმედი წესის შესაბამისად. პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნები:</p> <ul style="list-style-type: none"> • გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში; • გამოცდის ჩაბარება უცხოურ ენაში. აპლიკანტი გათავისუფლდება გამოცდისაგან, თუ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, რომელიც დაადასტურებს უცხოური ენის ცოდნას B2 დონეზე. <p>უცხოურ ენაში შიდა გამოცდასთან დაკავშირებული პროგრამის აღსანიშნავია შემდეგი: პროგრამის ერთ-ერთი სავალდებულო სასწავლო კურსია „ტექნიკური თარგმანი“ (შეთავაზებულია „ტექნიკური თარგმანი (ინგლისური ენა)“, „ტექნიკური თარგმანი (გერმანული ენა)“, „ტექნიკური</p>

თარგმანი (რუსული ენა“), რის გამო მოთხოვნილ დონეზე სხვა უცხოური (მაგალითად, ფრანგული) ენის მცოდნემ, შესაძლოა ვერ დაძლიოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსი (სამივე შეთავაზებული სასწავლო კურსის შემთხვევაში მითითებულია: „წინაპირობის გარეშე“). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს რომელი უცხოური ენის/ენების ფლობა მოეთხოვება მაგისტრანტობის კანდიდატებს.

პროგრამებზე დაშვების წესები და პირობები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის დაწესებულების ვებგვერდის საშუალებით: www.atsu.edu.ge. ასევე, შესაბამისი ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები („ტექნიკური თარგმანი (ინგლისური ენა)“, „ტექნიკური თარგმანი (გერმანული ენა)“, „ტექნიკური თარგმანი (რუსული ენა)“)
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №94 (17/18), 4.06.2018 - სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ (<https://atsu.edu.ge/index.php/acad-councilseparator/akad-sabcho-dadgenilebebi?task=document.viewdoc&id=598>)
- www.atsu.edu.ge

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მიზანშეწონილია დაკონკრეტდეს უცხოური ენა/ენები, რომლის/რომელთა ფლობა მოეთხოვება მაგისტრანტობის კანდიდატებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით.

- პროგრამის მოცულობა, სტრუქტურა და შინაარსი შეესაბამება სწავლების საფეხურს:
- პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 ECTS-ის კრედიტს (ერთი კრედიტი = 25 სთ-ს, სულ

<p>პროგრამა - 3000 სთ).</p> <ul style="list-style-type: none"> პროგრამა მოიცავს ოთხ სემესტრს (სემესტრის ხანგრძლივობა - 15 კვირა), მათ შორის სამი (I-III) სემესტრები ეტობა პროგრამის სასწავლო კომპონენტს (სულ 90 კრედიტი, სემესტრში - 30 კრედიტი), ხოლო მეოთხე სემესტრი - სამაგისტრო ნაშრომს (30 კრედიტი). <p>პროგრამა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამას აქვს ლოგიკური, თანმიმდევრული სტრუქტურა (პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრულად დალაგებული და ურთიერთდაკავშირებული). პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი ნაწილისაგან - შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობა აღემატება პროგრამის არჩევითი ნაწილისთვის განსაზღვრული კრედიტების რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს არჩევანის შესაძლებლობას.</p> <p>პროგრამის შინაარსის (აღწერილობისა და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების) განხილვით, ასევე დანსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა და სასწავლო მასალა ეყრდნობა დარგში არსებულ აქტუალურ კვლევებსა და წყაროებს. ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე: პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები; გათვალისწინებულ იქნა მათი რეკომენდაციები (მაგ., კურსდამთავრებულების და სტუდენტების რეკომენდაციით პროგრამას დაემატა „ტექნიკური თარგმანის“ სავალდებულო სასწავლო კურსი, დამსაქმებელთა რეკომენდაციით - სასწავლო კურსი „შრომის უსაფრთხოება ენერგეტიკაში“ და სხვ.).</p> <p>პროგრამის სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შედეგების და მისი კომპონენტების ურთიერთკავშირი ასახულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილ დოკუმენტებში „პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“ და „კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსებს შორის“.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი); ○ პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; ○ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა; ○ „პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“; ○ „კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსებს შორის“; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია, პოლიტიკა, პროცედურები (აწეს კავშირის საბჭოს დადგენილებები №49 (17/18), №39 (20/21), 15.07.2021, №8(21/22), 9.11.2021); ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კომპონენტების შესწავლის თავისებურებები ასახულია შესაბამის სილაბუსებში, სადაც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: სასწავლო კურსის დასახელება, ტიპი (სავალდებულო/არჩევითი), მიზანი და შედეგები, კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო და დამოუკიდებელისათვის მითითებით, კურსის განმახორციელებელი პირის ვინაობა, სასწავლო კურსის შინაარსი და ფორმატი, სწავლა/სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები და სხვა.

სილაბუსების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ სწავლა/სწავლების მეთოდები, შეფასების სისტემა და კრიტერიუმები შეესაბამება სასწავლო კურსების სპეციფიკას. აკადემიურმა პერსონალმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ შეფასების მეთოდების შერჩევასა მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოება: გამოყენებული მეთოდებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი მაქსიმალური სიზუსტით დაგეგმილი სწავლის შედეგების გაზომვა და შეფასება.

სილაბუსში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს და ითვალისწინებს და მოიცავს სპეციალობის პრობლემატურ საკითხებს.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება როგორც უმაღლესი განათლების საფეხურს, ისე პროგრამის სწავლის შედეგებს. სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუს დროს აღნიშნული დაადასტურეს დამსაქმებლებმაც, რომლებმაც აღნიშნეს პროგრამის კომპონენტების შინაარსის საკმარისობა და აქტუალობა და, ამავდროულად, მიზანშეწონილად მიიჩნიეს მომავალში სარეგულაციო დაცვის მიმართულებით საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რასაც ექსპერტთა ჯგუფიც ეთანხმება.

ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია პროგრამის კომპონენტების შესწავლის შესახებ - აქვთ წვდომა სილაბუსებთან, უზრუნველყოფილია კონსულტირება და ინფორმაციის მიღების/დაზუსტების შესაძლებლობა.

პროგრამის კომპონენტების შესწავლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ლიტერატურით - ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმდა ბიბლიოთეკაში სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
- საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- „პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“;
- „კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამაში არსებულ სასწავლო კურსებს შორის“;
- „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია - EP-QA“, (აწსუ აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 ნოემბრის დადგენილება №8(21/22) (<https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator/akad-sabcho-dadgenilebebi/2017-2018?start=40>))

<ul style="list-style-type: none"> ○ აწსუ ბიბლიოთეკა http://www.atsu.edu.ge/index.php?option=com_content&view=article&id=508&Itemid=762&language=en; ○ ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
○ მიზანშეწონილია სარელო დაცვის მიმართულებით საკითხებზე ყურადღების გამახვილება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება
<input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა, თავისი შინაარსით, უზრუნველყოფს პრაქტიკული და კვლევითი უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას (მაგ., სასწავლო კურსები: ექსპერიმენტის დაგეგმვა და ანალიზი, სამეცნიერო წერის საფუძვლები, სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკა; სამაგისტრო ნაშრომი ნაშრომი). პროგრამისთვის აქტუალური უნარების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოები, რომელიც მოიცავს კვლევს და ანალიზის კომპონენტებს, გარდამავალი პროცესების კვლევას, მონაცემების შეგროვება-ანალიზს და სხვ..</p> <p>სამაგისტრო პროგრამის სათანადო დონეზე განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემურანდუმები დამსაქმებელთან: „ენერგო-პრო ჯორჯია“, „გუმათჰესების კასაკადი“, სს „ქუთაისის ელექტროსისტემის ქ/ს“, შპს „ვარციხეჰესი“, „ენერგო-პრო ჯორჯია“ - იმერეთის მაღალი ძაბვის განყოფილება“, რომლებიც უზრუნველყოფენ მაგისტრანტების სამეცნიერო-სასწავლო-კვლევითი პრაქტიკის განხორციელებას (შესაბამისი სამეცნიერო-სასწავლო-კვლევითი პრაქტიკის გეგმის გათვალისწინებით) ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ე.წ. ზედამხედველის მეთვალყურეობის ჩართულობით, ასევე ორგანიზაციები იძლევიან სტუდენტების დასაქმების გარანტიას შესაბამის ორგანიზაციებში.</p> <p>სტუდენტების სამეცნიერო-სასწავლო-კვლევითი პრაქტიკის განხორციელების პროცესში ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ე.წ. ზედამხედველი კონტროლ უწევს პრაქტიკის პროცესში მათ მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია როგორც მაღალი ძაბვის გადაცემის სისტემებთან, ასევე ქვესადგურებში და სატრანსპორტო სისტემებში შესაბამისი უსაფრთხოების წესების სრულ დაცვასთან.</p> <p>პროგრამის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო ღონისძიებებში, სემინარებში, ვორკშოპებში - დაწესებულებაში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელშიც აქტიურად</p>

მონაწილეობენ პროგრამის სტუდენტებიც. ასევე, უზრუნველყოფილია პროგრამის სტუდენტთა ჩართვა არა მარტო შიდასაუნივერსიტეტო, არამედ სხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში. პროგრამის სტუდენტების ექსტრაკურსულურ აქტივობებზე დეტალურად ისაუბრეს ფაკულტეტის დეკანმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა. აღნიშნული გარემოებები დაადასტურეს როგორც პროგრამის სტუდენტებმა, ისე კურსდამთავრებულებმა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი);
 - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
 - პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
 - „პროგრამის სწავლის შედეგების რუკა“;
 - ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
 - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები დარგის ორგანიზაციებთან;
 - პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის კრებულები, სტუდენტური კონფერენციის პროგრამები;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით და ორიენტირებული პროგრამის კომპონენტების მიზნებისა და შედეგების მიღწევაზე. პროგრამის კომპონენტების შესწავლისას გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდები: ლექცია, სემინარი (ჯგუფში მუშაობა), პრაქტიკული, ლაბორატორიული, პრაქტიკა, პროექტი, კონსულტაცია, დამოუკიდებელი მუშაობა. ასევე შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში): დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციის მეთოდი, დედუქციის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ანალიზის მეთოდი, ვერბალური მეთოდი, წერიითი მუშაობის მეთოდი, ლაბორატორიული მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები,

<p>ახსნა-განმარტებითი, დემონსტრირების მეთოდი. სწავლებაში გამოყენებულ მეთოდებზე ისაუბრეს პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა. მათი განმარტებით, ისინი თავისუფლები არიან სწავლების მეთოდების შერჩევაში და, სწავლების პროცესზე დაკვირვების შედეგად, შესაძლოა აირჩიონ, საჭიროებისამებრ შეცვალონ და გამოიყენონ ის სწავლების მეთოდები, რომლებიც უფრო ეფექტიანი აღმოჩნდება.</p> <p>მთლიანობაში, გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღესი განათლების საფეხურს და პროგრამის კომპონენტების სპეციფიკას. შერჩეული სწავლების მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია როგორც პროგრამის კონკრეტული კომპონენტის, ისე მთლიანად პროგრამის შედეგების მიღწევა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის კომპონენტების სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>შეფასება ხორციელდება წინასწარ დადგენილი, სამართლიანი, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი პროცედურებით - დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემის საფუძველია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 15 სექტემბრის, 2017 წლის დადგენილება №5(17/18) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“.</p> <p>1. პროგრამის სასწავლო კომპონენტი:</p> <ul style="list-style-type: none"> • პროგრამის სასწავლო კომპონენტში შეფასების სისტემა ითვალისწინებს: 1) ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულ; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; 2) ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე

ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის შეფასება მოიცავს 2 ფორმას - შუალედურს და დასკვნითს - ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ქულა). დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებზე გადალახავს დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს (დააგროვებს მინიმალურ დადგენილ ქულას) - პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს: სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს) - არა უმეტეს 30 ქულა; შუალედური გამოცდა - არა ნაკლებ 30 ქულა; დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 18 ქულას. პროგრამის კომპონენტის კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ერთ-ერთი დადებითი (ზემოთ მითითებული) შეფასების მიღების შემთხვევაში.
- პროგრამის თითოეული კომპონენტის შეფასების მეთოდები ითვალისწინებს ამ კომპონენტის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კომპონენტის სწავლის შედეგებს. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები (მითითებულია სილაბუსებში) არის გამჭვირვალე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის - აკადემიური და მოწვეული პერსონალი სალექციო კურსის და გამოცდების დასაწყისში ახდენს კურსის შემადგენელი შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების განმარტებას. სტუდენტები იღებენ უკუკავშირის სწავლის შედეგებზე, როგორც სასემინარო აქტივობებისას ასევე მათთვის გამოყოფილი საკონსულტაციო საათების დროს. ინტერვიუს პროცესში სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ ლექტორებთან შესაძლებელია კომუნიკაცია მათთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით.
- დაწესებულებაში არსებობს შეფასების გასაჩივრების სისტემა - აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №10 (17/18) დადგენილებით დამტკიცებულია გამოცდების აპელაციის წესი. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული აპელაციით მიმართოს რექტორის მოადგილეს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. სტუდენტის აპელაციას 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კომისია, რომელსაც ადგენს ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით და წარუდგენს რექტორის მოადგილეს. აპელაციის კომისია იღებს გადაწყვეტილებას, ადგენს ოქმს და აპელაციის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას წარუდგენს რექტორის მოადგილეს, რომელიც ამტკიცებს კომისიის გადაწყვეტილებას. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორის მოადგილეს, როგორც სააპელაციო კომისიის თავმჯდომარეს. შესაბამისი ცვლილება ფიქსირდება დეკანატში.

2. პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი):

- სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60

ქულა. უარყოფითი შეფასებები: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა (მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში) და (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები (მაგისტრანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას). სამაგისტრო ნაშრომის 30 კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ერთ-ერთი დადებითი (ზემოთ მითითებული) შეფასების მიღების შედეგად.

- დაწესებულებაში შემუშავებულია და მოქმედებს „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“. ასევე, განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობები (დეპარტამენტში ნაშრომის საჯარო განხილვა, სადაც მაგისტრანტი წარმოადგენს ჩატარებული სამუშაოს შესახებ ანგარიშს). სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება რექტორის ბრძანებით დამტკიცებული კომისიის წინაშე, საჯარო დაცვაზე. დაცვა შედეგა შედეგი პროცედურებისაგან: მაგისტრანტის მოხსენება, დისკუსია, დაცვის კომისიის დახურული სხდომა ნაშრომის შესაფასებლად, ნაშრომის შეფასების გამოცხადება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია ზემოთ მითითებულ წესში. კერძოდ:

1. ჩატარებული კვლევის ხარისხი / მაქსიმალური შეფასება 10 ქულა
2. პრობლემის აქტუალობა / მაქსიმალური შეფასება 10 ქულა
3. არსებითი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამოიყენების უნარის დემონსტრირება / მაქსიმალური შეფასება 10 ქულა
4. დასკვნები და შედეგები/მაქსიმალური შეფასება 10 ქულა
5. სიახლის დასაბუთების უნარი/მაქსიმალური შეფასება 10 ქულა
6. ნაშრომის გაფორმების სტანდარტების დაცვა/მაქსიმალური შეფასება 10 ქულა
7. ინფორმაციის სამართლებრივად და ეთიკურად გამოყენება / მაქსიმალური შეფასება 10 ქულა
8. კვლევის შედეგების პრეზენტაციის უნარი / მაქსიმალური შეფასება 10 ქულა
9. საკუთარი იდეებისა და პოზიციის დაცვის უნარი / მაქსიმალური შეფასება 10 ქულა
10. დასმულ კითხვებზე და რეკომენდაციებზე პასუხი / მაქსიმალური შეფასება 10 ქულა.

- ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულით კომისია დებულობს საბოლოო შეფასებას (ნაშრომი ითვლება დაცულად, თუ მაქსიმალური შესაძლო 100 ქულიდან მიღებულია მინიმუმ 51 ქულა).

- მაგისტრანტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომში მიღებული შეფასების (ქულის) გასაჩივრება - ნაშრომის შეფასების გაცნობიდან არაუგვიანეს 5 დღისა მაგისტრანტი უფლებამოსილია შეიტანოს აპელაციაზე დასაბუთებული განაცხადი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით. აპელაციას განიხილავს სააპელაციო კომისია. საკითხის განხილვის პროცესზე დასწრების უფლებამოსილება გააჩნია მაგისტრანტს (მისი სურვილის შემთხვევაში), სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელსა და გასაჩივრებული კომპონენტის შეფასებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებით. სააპელაციო კომისია ვალდებულია დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება არაუგვიანეს 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს მაგისტრანტს.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება №51(17/18) „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდანაცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრავს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებს და მექანიზმებს. სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება სპეციალური ანტიპლაგიატის პროგრამით. ექსპერტებისთვის წარმოდგენილი ნაშრომებიდან ორი ნაშრომი მოიცავდა შემოწმების დასკვნას. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნეს, რომ შემოწმებას ექვემდებარება ყველა სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამის კურსდამთავრებულებმა და დამამთავრებელი სემესტრის მაგისტრანტებმა დაადასტურეს ანტიპლაგიატის პროგრამით ნაშრომების შემოწმების ფაქტი, თუმცა გაუჭირდათ ანტიპლაგიატის პროგრამის და დასაშვები თანხვედრის პროცენტის დასახელება. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ გააუმჯობესოს მაგისტრანტების ინფორმირება აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვასთან დაკავშირებით.

სამაგისტრო ნაშრომების შესრულებასთან (გაფორმებასთან) დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: დაწესებულებაში მოქმედი „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“ ადგენს მოთხოვნებს სამაგისტრო ნაშრომისადმი (მ.4), ასევე, სასწავლო კურსში „სამეცნიერო წერის საფუძვლებში“ გათვალისწინებულია ნაშრომის გაფორმების სტანდარტების დაცვის კომპონენტი. თუმცა, ეს ყოველივე (კერძოდ, ტექსტში გარკვეული ციტირების წესის გამოყენება) არ ჩანს ექსპერტებისთვის წარმოდგენილ ყველა სამაგისტრო ნაშრომში. შესაბამისად, სასურველია უზრუნველყოფილ იქნას სტუდენტების სათანადო ინფორმირება ნაშრომების გაფორმების (კერძოდ, ციტირების წესის) შესახებ, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას კი განხორციელდეს ამ ასპექტის სათანადო შემოწმება. პროგრამის მაგისტრანტებმა, რომლებიც ამ ეტაპზე მუშაობენ სამაგისტრო ნაშრომზე, დაადასტურეს რომ არსებობს ნაშრომების გაფორმების წესი, თუმცა გაუჭირდათ ამ წესებზე საუბარი. მიზანშეწონილია, გაუმჯობესდეს სტუდენტის ინფორმირება სამაგისტრო ნაშრომისადმი (მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომისადმი, ციტირების წესი) დაკავშირებით.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასებისა და გასაჩივრების მექანიზმის შესახებ. ამ მექანიზმის არსებობა და გამოყენება დაადასტურეს პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა, რომელმაც გასაუბრების დროს ასევე, აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სემესტრულად ახორციელებს სხვადასხვა მონაცემთა შეგროვებას პროგრამის შეფასების მიზნით, შეისწავლის სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას, ახდენს შედეგების ანალიზს და პროგრამის განმახორციელებლების ინფორმირებას მიღებული შედეგების და რეკომენდაციებს შესახებ, რაც შემდგომში ხდება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების საფუძველი. ასევე, პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა აღინიშნა უნივერსიტეტის მხარდაჭერა სხვადასხვა საჭირო ტრენინგების ორგანიზების და მათი აკადემიური განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებში ჩართვით (დაწესებულების მიერ წარმოდგენილია შესაბამისი სერთიფიკატები და დოკუმენტები).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის დებულება;
- „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №51(17/18) პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ“
- ვებგვერდი www.atsu.edu.ge;
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №73 (19/20) „ციტირების წესისა და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“;
- სამაგისტრო ნაშრომები (ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი);
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში, სემინარებში, ვორკშოპებში, ტრენინგებში მონაწილეობის ამსახველი ინფორმაცია;
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2018-2019/2019-20/2020-21/ საწავლო წლების ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მიზანშეწონილია გაუმჯობესდეს მაგისტრანტების ინფორმირება სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების, მათ შორის ციტირების, წესების შესახებ, ასევე, სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას განხორციელდეს ნაშრომების ამ კომპონენტის სათანადო შემოწმება.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

<p>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება</p> <p>სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის სტუდენტები სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე იღებენ სათანადო ინფორმაციას: ფაკულტეტის მდივანი სტუდენტებს აწვდის სხვადასხვა სახის ინფორმაციას (ფაკულტეტზე ჩარიცხვის წესის, პროგრამის არჩევის, პროგრამის სტრუქტურის, არჩევითი კურსებისა და ა.შ. შესახებ). პირველი კურსის სტუდენტებთან შეხვედრას აწყობს ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დეპარტამენტის და პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც აცნობენ სტუდენტებს სასწავლო პროცესის თავისებურებებს, ძირითად ასპექტებს და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ინფორმაციას. დაწესებულებაში ფუნქციონირებს</p>

სტუდენტთა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა „ელექტრონული დეკანატი“.

დაწესებულების ვებგვერდზე www.atsu.edu.ge განთავსებულია ინფორმაცია დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, როგორცაა კონფერენციები; სხვადასხვა ქვეყნების სტიპენდიები; გაცვლითი პროგრამები და სხვ. ასევე, აღსანიშნავია სპეციალური აპლიკაცია ATSU.news, რომლის ტელეფონზე ჩამოტვირთვის შემთხვევაში სტუდენტი იღებს ნებისმიერ სიახლეს უნივერსიტეტის სივრციდან.

აღსანიშნავია სტუდენტური თვითმართველობის აქტიური საქმიანობა, რომელიც სტუდენტთა შემოქმედებით, სპორტულ აქტივობებსა და დასვენების სერვისებს უწევს ორგანიზებას. ასევე, აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურები, მათი საქმიანობის მიმართულებები:

- სტუდენტთა განცხადებების ელექტრონული მოძრაობის ორგანიზება;
- სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
- სტუდენტთა ომბუდსმენი;
- სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი;
- აწსუ-ს კურსდამთავრებულთა ქსელი.

ინტერვიუს ფარგლებში სტუდენტების და კურსდამთავრებულების მხრიდან დადასტურდა სტუდენტთა ელექტრონული განცხადებების სისტემის ფუნქციონირება, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ელექტრონულად გააკეთონ განცხადებები და მიიღონ მათთვის სასურველი ინფორმაცია. აღნიშნულმა სერვისმა საგრძნობლად გაამარტივა და მოწესრიგებული გახადა სტუდენტთა მომსახურება.

სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების ფარგლებში 2014 წლიდან ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და ინფორმაციის მიწოდებას, ასევე კარიერულ განვითარებასთვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებების და ტრენინგების ორგანიზებას.

მნიშვნელოვანია ფაკულტეტის აქტიური თანამშრომლობა დამსაქმებლებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პროგრამის განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა ღონისძიებებში. მათი ხელშეწყოფით სტუდენტებისთვის ორგანიზებულია პრაქტიკული, სამეცნიერო სამუშაოების ოთახები. ასევე, სხვადასხვა საგრანტო პროგრამების ფარგლებში უნივერსიტეტს გადასცემენ პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს. აკრედიტაციის ვიზიტის დროს დამსაქმებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ისინი ყოველმხრივ ხელს უწყობენ სტუდენტების კარიერულ განვითარებას და დასაქმებას.

პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში. ფაკულტეტზე მოქმედებს მრავალფეროვანი სამეცნიერო კვლევითი პრაქტიკული ლაბორატორიები. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში, როგორცაა სამეცნიერო პიკნიკები და საზაფხულო ბანაკი, სადაც ისინი წარადგენენ თავიანთ სამეცნიერო პროექტებს. გასაუბრებების პროცესში აღინიშნა, რომ ფაკულტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს ჩეხეთის ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რომლის ლექტორები პერიოდულად ატარებენ ლექციებს და ვორკშოფებს, ასევე სტუდენტებს საშუალება აქვთ გაემგზავრონ ჩეხეთში და აწარმოონ კვლევა სამაგისტრო თემის ფარგლებში.

სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია დაგეგმილი ღონისძიებების, გამოცხადებული საგრანტო კონკურსების, სასტიპენდიო და გაცვლითი პროგრამების შესახებ. დაწესებულების მიერ მოწოდებულ საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ ჩართონ ERASMUS+ გაცვლით პროგრამაში. აღსანიშნავია ფაკულტეტის ძალისხმევა ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერების

მიმართულებით რაც ხელს შეუწყობს მაგისტრატურის სტუდენტების ჩართულობის გაზრდას ამ პროცესში. ასევე, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ფაკულტეტის საჯარო პროფესორ მასწავლებელთა კონსულტაციების გრაფიკზე, რაც მათი მხრიდან დადასტურდა გასაუბრების დროს და აღინიშნა რომ გარდა გამოყოფილი საკონსულტაციო საათებისა სტუდენტს საშუალება აქვთ კონსულტაციისთვის ლექტორს მიმართონ კორპორაციული ფოსტით ან Microsoft Teams პროგრამის გამოყენებით.

განსაკუთრებით გამორჩეულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც ორგანიზებულია როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული წიგნები, აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე ორგანიზებულია საკუთარი მცირე პროფილური ბიბლიოთეკა. სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე არა მხოლოდ საუნივერსიტეტო სივრციდან, ასევე სახლიდანაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის დებულება
- ვებგვერდი [www.atsu.edu.ge]
- სპეციალური აპლიკაცია ATSU.news
- ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტები;
- პროგრამის რესურსები;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- ფაქტობრივი გარემოებები;
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2019-20 და 2020-21 საწავლო წლის ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სტუდენტებს მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით, მათი მიღწევებით, ასევე, მაგისტრანტების და კურსდამთავრებულების შეფასებებით.

მოქმედ „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესში“ და მაგისტრანტების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებში ნათლადაა წარმოჩენილი მაგისტრანტის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელების კვალიფიკაცია, მათთვის წაყენებუ-

ლი მოთხოვნები და საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. გასაუბრების დროს სტუდენტების და კურსდამთვრებულების მხრიდან აღინიშნა მათი ხელმძღვანელების მხარდაჭერა და აქტიური ჩართულობა, რომელიც მათ ეხმარებათ კვლევის პროცესსა და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში.

დაწესებულებაში მოქმედი წესის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი, დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი – მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით, რაც აისახება შესაბამის ოქმში (დეპარტამენტის სხდომა). სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას, ხელმძღვანელებს და რეცენზენტებს ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო; უნივერსიტეტის რექტორი. სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც (კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე). ერთმა პირმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს.

ნაშრომის თემას სტუდენტი ირჩევს სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით. სწავლების არა უმეტეს, ერთი წლის შემდეგ (საშემოდგომო სემესტრის დაწყებამდე). პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სამაგისტრო ნაშრომების სავარაუდო თემატიკას წარადგენს პროგრამის ხელმძღვანელთან. პროგრამის ხელმძღვანელი თემების ჩამონათვალს გააცნობს მაგისტრანტებს, რის შემდეგაც ხდება, მათი კვლევის ინტერესის სფეროს გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომის თემის და ხელმძღვანელის არჩევა. პროგრამის ხელმძღვანელი სამაგისტრო თემის დასახელებას, მაგისტრანტის და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ვინაობას წარუდგენს დეპარტამენტის ხელმძღვანელს. თითოეული მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის სათაური და ხელმძღვანელი მტკიცდება ჯერ დეპარტამენტის და შემდეგ - ფაკულტეტის საბჭოს - სხდომაზე, რის შესახებაც მზადდება ოქმი. გასაუბრებების პროცესში გამოიკვეთა, რომ მაქსიმალურადაა გათვალისწინებული სტუდენტის კვლევის ინტერესი, ასევე კვლევების თემატიკა შეირჩევა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევების მიმართულებებიდან გამომდინარე, რეგიონისათვის აქტუალური ტექნიკური ხასიათის პრობლემების შესაბამისად.

შემუშავებულია და მოქმედებს სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებშიც განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებისა და ხელმძღვანელობის პროცესი, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის წარდგენის, დაცვისა და შეფასების პროცედურა, ამასთანავე ფორმდება ამ პროცესის ამსახველი დოკუმენტები. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ფუნქციაა დაეხმაროს სტუდენტს არჩეული სამაგისტრო საკვლევი თემის შესრულების პროცესის დაგეგმვაში, მისცეს რჩევები, მითითებები კვლევის პროცესთან დაკავშირებით და გაუწიოს კონსულტაცია წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით. ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი და დაადასტუროს, რომ სტუდენტს სწორი გეგმა აქვს შემუშავებული სამაგისტრო თემაზე მუშაობის გასაგრძელებლად, ხელმძღვანელი ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის დებულება ;
- ვებგვერდი [www.atsu.edu.ge];
- „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი“;
- სამაგისტრო ნაშრომები (ექსპერტებისთვის წარდგენილი);
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
-
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სათანადო კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხორციელდება ღია კონკურსის წესით; 2019 წელს ჩატარდა ასოცირებული პროფესორების ატესტაცია, რაც მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ერთგვარი შეფასებაც გახლდათ. აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, პროგრამის განხორციელების მიზნით მოწვეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით (სპეციალისტის მოწვევების შესახებ წარდგინებას რექტორის წინაშე აკეთებს ფაკულტეტის დეკანი ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით).

დღეისათვის, პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 3 პროფესორი, 10 ასოცირებული პროფესორი და 6 მოწვეული სპეციალისტი (შემდგომში - მოწვეული პერსონალი). პროგრამის განმახორციელებლებს განათლება მიღებული აქვთ როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უსდ-ებში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებით და სამეცნიერო ნაშრომებით.

პროგრამის განმახორციელებელი ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი ჩართული იყო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ენერგეტიკის სექტორის შესაძლებლობების გაუმჯობესების“ პროექტში, რომლის ფარგლებში, მინიაპოლისის უნივერსიტეტში, პერიოდულად ტარდებოდა ტრენინგ-სემინარები ენერგეტიკის პოლიტიკის, მსოფლიო გამოცდილების შესახებ. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობენ პროფესიული კვალიფიკაციის საერთაშორისო პროგრამებში (სტაჟირება, ტრენინგ-სემინარები), მათ შორის:

- ტრენინგ-სემინარები ვისკონსინის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სემინარების თემა: ენერგეტიკის ეკონომიკა, ტექნოლოგიები და პოლიტიკა (Energy Economics, Technology and Policy Workshop, 8 CEU), დეპარტამენტის ორი თანამშრომელი და ერთი მოწვეული პროფესორი.
- USAID ენერგეტიკის შესაძლებლობების გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგ-სემინარების ციკლი (ოთხი თანამშრომელი).

2017 და 2018 წლებში დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული იქნა:

- ვორქშოპი მზის ენერგეტიკის სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვე გამოცდილების შესახებ, რომლის წამყვანი მომხსენებელი იყო მინიაპოლისის უნივერსიტეტის ემერეტუს პროფესორი (მინესოტა, აშშ). ვორქშოპის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო როგორც უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა, ისე სხვადასხვა დაინტერესებულმა პირებმა ენერგო კომპანიებიდან და სასწავლო დაწესებულებიდან.
- ორი პროფესიული ტრენინგი ენერგო აუდიტისა და მზის ენერჯის სისტემების ექსპლუატაციის საკითხებზე, რომელთა მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სამაგისტრო პროგრამაში ჩართულმა 5 პერსონალმა (როგორც პროგრამის განმახორციელებლები, ისე დამხმარე პერსონალი). აღსანიშნავია, რომ ამ ტრენინგების მოდერატორი და ფასილიტატორი თავად პროგრამა „ელექტროენერგეტიკის“ ხელშეკრულებით მოწვეული თანამშრომელი იყო.

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტი სისტემატიურად ატარებს სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენციებს ენერგეტიკის სფეროში: 2013-2018 წლებში ჩატარებულია 6 სამეცნიერო საერთაშორისო კონფერენცია (მათ შორის ერთი - USAID და Winrock International დაფინანსებით და ერთი - ენერგო ეფექტურობის ცენტრი საქართველოსთან). უნდა აღინიშნოს პროგრამის პერსონალის მონაწილეობა სხვა ქვეყნებში ჩატარებულ კონფერენციებში

(ლატვია 2017, 2018; უნგრეთი 2017; იტალია-2017, შვედეთი 2017, აშშ 2018).

მოქმედებს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო და/ან სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვის მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა საკმარისია აღნიშნულ პროგრამაზე მისაღები კონტინგენტისათვის.

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის დეპარტამენტს, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, ჰყავს კვალიფიციური დამხმარე პერსონალი, რომლებიც უზრუნველყოფენ დეპარტამენტის ლაბორატორიების გამართულ მუშაობას (ინფორმაცია ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შესახებ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.atsu.edu.ge). ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიებსა და კომპიუტერული ცენტრებში მომუშავე დამხმარე პერსონალის საქმიანობა და ურთიერთდამოკიდებულება მიმართულია სასწავლო პროცესის მიზნების შესრულებისაკენ და შედეგების გაუმჯობესებისაკენ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი პერსონალის პერსონალური ინფორმაცია;
- ფაკულტეტის სტრუქტურა. ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი პროფილი. ფაკულტეტის თანამდებობრივი ინსტრუქციები, <https://atsu.edu.ge/index.php/teqnikuri-administracia>;
- სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ; აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ; დადგენილება № 65(18/19) დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ. <https://atsu.edu.ge/index.php/acad-council-separator>;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა (ფაქტობრივი მდგომარეობა);
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში მოქმედი წესების თანახმად, შეფასებს ექვემდებარება როგორც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობა.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება უნივერსიტეტის მართვის ორგანოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების ხელშეწყობით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურების მიერ განხორციელებული პერიოდული მონიტორინგისა და სტუდენტთა გამოკითხვების შედეგების გათვალისწინებით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა ეფუძნება სამსახურების მიერ განხორციელებული ყოველწლიური ანგარიშგების სისტემას. ყოველი სტრუქტურული ერთეული წელიწადში ერთხელ აჯამებს საკუთარი მუშაობის შედეგებს და შეიმუშავებს წლიურ ანგარიშს, რომელიც წარედგინება შესაბამის საუნივერსიტეტო მართვის ორგანოს.

აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების (შემდგომში - მოწვეული პერსონალი) შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. ამ პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების ანგარიში განიხილება დეპარტამენტის სხდომებზე, ასევე დეკანის მიერ და წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფასდება როგორც წლიური დატვირთვების შესრულების (დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი) და კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკის საშუალებით, ისე სტუდენტთა გამოკითხვების გზით. აკადემიური პერსონალი მის მიერ წარმართული სასწავლო კურსის შესახებ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზს ეცნობა ყოველსემესტრულად, ეს ანალიზი ეგზავნებათ პროგრამის ხელმძღვანელს, დეპარტამენტებს და თავად პერსონალს. 2017 წლიდან აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის დაინერგა კოლეგიალური ურთიერთდასწრება, რომლის ფარგლებშიც ღებულობს შეფასებებს ძლიერ და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სისტემატიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის ტრენინგებში, სემინარებში, პროფესიულ და ხარისხის უზრუნველყოფის დარგობრივ ღონისძიებებში. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი ენობრივი კომპეტენციების ამაღლებისათვის, რომელიც დღეისათვის ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ მხარეს წარმოადგენს, მოქმედებს უცხო ენის შემსწავლელი კურსები.

პროგრამის პროფილის შესაბამისად, უნივერსიტეტს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, მათ შორის უცხოურ უნივერსიტეტებთან. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ეწევა აქტიურ საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას, რაზეც მეტყველებს მათ მიერ წარმოებული მაღალი ხარისხის როგორც საგრანტო, ასევე არასაგრანტო ორიგინალური ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ USAID და MCA-Georgia-სა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შესრულებულია ათამდე საგრანტო პროექტი. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად ეწევა ჩატარებული კვლევის შედეგების პოპულარიზაციას. კერძოდ: საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო სტატიები, საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილია მოხსენებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია;
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის კვლევითი პროფილი <https://atsu.edu.ge/index.php/technical->

<p>educational-profile-geo);</p> <ul style="list-style-type: none"> o საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; o ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>4.3 მატერიალური რესურსი</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე (სასწავლო აუდიტორიებში, ბიბლიოთეკასა და კომპიუტერულ ცენტრში, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტის სასწავლო-საწარმოო და კვლევით ლაბორატორიებში). განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც სრულად და ოპერატიულად უზრუნველყოფს მომხმარებელთა მომსახურებას, არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ტექნიკურად და ტექნოლოგიურად აღჭურვილი, ჩართულია საერთაშორისო სამიხედო სისტემაში, უზრუნველყოფს დარგის მიმართულებით უახლესი მიღწევების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო და კვლევითი გარემოს განახლება და გაუმჯობესება. 2011 წლიდან უნივერსიტეტში ჩაირთო ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის ონლაინკატალოგის (OPAC) სერვისი; ბიბლიოთეკას გააჩნია წვდომა სხვადასხვა სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებზე (მაგ., http://search.epnet.com/; http://journals.cambridge.org/). ბიბლიოთეკის ფონდში დაცული პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მეთოდური მასალა და ლიტერატურა სრულფასოვნად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას და მთლიანად შეესაბამება დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამა უზრუნველყოფილია ქართულენოვანი და უცხოენოვანი ძირითადი ლიტერატურით (წარმოდგენილია ბიბლიოთეკის საცავში. ელ. ვერსიები ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის).</p> <p>პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება უახლესი ლაბორატორიული აღჭურვილობა, მაგალითად:</p> <ul style="list-style-type: none"> • ერთმანქანიანი ელექტრონული სისტემის მოდელი (სტენდური შესრულება, კომპიუტერული ვერსია); • სასწავლო-ლაბორატორიული მოწყობილობის კომპლექტი „ელექტროტექნიკა და ელექტრონიკის საფუძვლები (სტენდური შესრულება, კომპიუტერული ვერსია)“; • სასწავლო-ლაბორატორიული მოწყობილობის კომპლექტი „მზის ფოტო ელექტრონიკა“;

<p>ელექტროსადგურის მოდელი (სტენდური შესრულება)",</p> <ul style="list-style-type: none"> სასწავლო-ლაბორატორიული მოწყობილობის კომპლექტი „ქარის ელექტრო გენერატორის ნატურალური მოდელი (სამაგიდო შესრულება)". <p>ასევე, პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ სწავლის პროცესში გამოიყენონ პარტნიორი ორგანიზაციების მიერ (სს ენერგო-პრო ჯორჯია, სემეკი) მოწყობილი, უახლესი სასწავლო მოდელებითა და საშუალებებით აღჭურვილი აუდიტორიები და ლაბორატორიები.</p> <p>უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები დარგობრივ ორგანიზაციებთან: სს ენერგო-პრო ჯორჯია, სემეკი, ატლანტიკ გრუპი. ასევე, გაფორმებულია მემორანდუმების უცხოეთის უსდ-ებთან. აქვე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მემორანდუმის შემთხვევაში აუცილებელია მათი მოქმედების ვადის გაგრძელება და არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სააუდიტორიო და ლაბორატორიული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები (ფაქტობრივი გარემოებები); ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები; უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსი, საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა პროგრამაში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შემოწმებული); ბიბლიოთეკის წარმომადგენლებთან ინტერვიუსა და სისტემის დემონსტრირების შედეგები; პროგრამის სტუდენტებთან და განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> რეკომენდებულია გადაიხედოს და წესრიგში მოყვანილ იქნეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები, რომლებიც საჭიროებენ მოქმედების ვადის გაგრძელებას და/ან არსებული ტექნიკური ხარვეზების გასწორებას.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ტექნიკურად და ტექნოლოგიურად აღჭურვილი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, რომელიც სრულად და ოპერატიულად უზრუნველყოფს მომხმარებელთა მომსახურებას, წიგნადი ფონდის დაცულობას, რესტავრაციას და სისტემატურ განახლებას, მრავალფეროვანი ელექტრონული სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობას.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამის კომპონენტების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები - მასალებისათვის, პროგრამაში ჩართულ სხვა ორგანიზაციებში (იხ. პუნქტი 4.13 ხელშეკრულების საფუძველზე ლაბორატორიული სამუშაოების, პრაქტიკისა და კვლევების ჩატარებისათვის).

ბიუჯეტის დაგეგმვისას თავისუფალი თანხის რაციონალურად და ეფექტიანად ხარჯვის მიზნით ბოლო წლების მანძილზე ხორციელდება ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების (საბიუჯეტო განაცხადების) შესაბამისად საერთო ბიუჯეტის ფარგლებში მათთვის ხარჯვის ლიმიტის გამოყოფა. ხარჯვის ლიმიტი არის ფაკულტეტებისათვის საერთო ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ხარჯვის გადაწყვეტის უფლება, ფაკულტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე ყოველწლიური პრიორიტეტების დოკუმენტის შესაბამისად. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მტკიცდება როგორც საბიუჯეტო პრიორიტეტების დოკუმენტი, ასევე ხარჯვითი ლიმიტის მოცულობა. მიმდინარე წელს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ფაკულტეტების საპროექტო განაცხადების უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის და ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტების შესაბამისად წარდგენა და გათვალისწინება, არის ოპტიმალური გადაწყვეტილება შეზღუდული ფინანსური რესურსის პირობებში ზემოაღნიშნული გეგმების ეფექტური განხორციელების მიზნით. პროგრამის ყველა საჭიროებების გათვალისწინებით, გაანგარიშებულია პროგრამის საბიუჯეტო ხარჯი, რომლის მიხედვითაც დადგენილია სტუდენტთა კონტინგენტის ოპტიმალური ოდენობა ჯგუფში. გაანგარიშებები ადასტურებს, რომ პროგრამის საჭიროებებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №175 - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ სტუდენტთა კონტინგენტის ოპტიმალური ოდენობა ჯგუფში (<https://atsu.edu.ge/index.php/senate-separator/senatis-dadgenilebebi>);
- პროგრამის ბიუჯეტი;
- უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან (რექტორთან, რექტორის მოადგილესთან, კანცლერთან, საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან) ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
<p>პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მიდგომები განსაზღვრულია დოკუმენტში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ, დადგენილება №8(21/22), 09.11.2021), რომლის თანახმად, დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის სისტემა აერთიანებს ხარისხის პოლიტიკებს (საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA: კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA; მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA), პროცედურებს და ინსტრუქციებს/წესებს/სხვ. მითითებული დოკუმენტის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სამივე პოლიტიკის განსახორციელებლად უნივერსალურ ინსტრუმენტს წარადგენს თვითშეფასებისა და ანგარიშების პროცედურა (ME-QA 3.1), რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. პოლიტიკების, პროცედურების და გამოყენებული ფორმების ურთიერთკავშირს ასახავს პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილი დოკუმენტი „პოლიტიკა, პროცესები, დანართები“.</p> <p>მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში - პროგრამა) შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (EP-QA):</p> <ul style="list-style-type: none"> • მიზნად ისახავს მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე, შედეგზე ორიენტირებული პროგრამების შექმნისა და განვითარების, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის, სტუდენტური სერვისების მიწოდების, სტუდენტების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ძირითადი კომპეტენციების მქონე სპეციალისტებად ჩამოყალიბების, შემდგომი დასაქმებისა და სწრაფად ცვალებად გარემოში წარმატებული ადაპტაციის ხელშეწყობას. • ხორციელდება სამი პროცედურის საშუალებით: <ol style="list-style-type: none"> 1) პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1)- ადგენს ახალი პროგრამის ინიცირების, შემუშავებისა და დამტკიცების წესებს, ძირითად

მოთხოვნებს, პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს და სხვ.;

2) პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.2) - აღწერს პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელ აქტივობებს/ღონისძიებებს, ასევე შეფასებისათვის გამოყენებულ სხვადასხვა ინდიკატორებს და კრიტერიუმებს. მიღებული შეფასება გამოიყენება მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;

3) მოქმედი პროგრამის განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3) - განსაზღვრავს მოქმედი პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს, მათი განხორციელების გზებსა და პასუხისმგებელ პირებს, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და ამ ცვლილებების დამტკიცების სამუშაოს.

დაწესებულებაში მოქმედებს „საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი“ (EP-QA 1.1) და მისი დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა; საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა; კურიკულუმის ფორმა; პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა; სილაბუსის ფორმა. ამავე დოკუმენტის დანართია „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია“, რომელიც არეგულირებს შემდეგ საკითხებს: 1. კურიკულუმის სტრუქტურა; 2. პროგრამის სახელწოდება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია; 3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით; 4. სწავლების ენა; 5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; 6. პროგრამის ანალოგები; 6. პროგრამის მიზანი; 8. სწავლის შედეგი; 9. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები; 10. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა; 11. სასწავლო გეგმა; 12. სასწავლო კურსის სილაბუსის სტრუქტურა; 13. ადამიანური რესურსები და სხვ. ამ დოკუმენტთან დაკავშირებით აღსანიშნავია შემდეგი: პროგრამის თვითშეფასების დანართად წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავდა გარკვეულ შეუსაბამო ჩანაწერებს, რომლებიც საჭიროებდნენ კორექტირებას, რაზეც იყო გაცემული შესაბამისი რჩევა. დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის თანახმად, „უსდ-ს მხრიდან დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი მოწოდებულ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკების საქალაქო დეპარტამენტში. აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით №39 (20/21), 15.07.2021 ცვლილებები განხორციელდა „უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციაში (დანართი 4-EP-QA 1.1.). დოკუმენტში გასწორებულია რჩევაში მითითებული ტერმინოლოგიური შეუსაბამოები“. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის დანართად წარმოდგენილი დოკუმენტი შემუშავებულია დაწესებულებაში ექსპერტთა ვიზიტამდე (დამტკიცების თარიღი 15.07.2021) და გააუქმა დასკვნის პროექტში არსებული რჩევა.

დაწესებულებაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი“ (EP-QA 1.1) განსაზღვრავს პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული პროცედურებს, წესებს, ეტაპებს (ფაზებს) და ვადებს, ამ პროცესში ჩართულ პირებს და სხვ. ამ დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად განხორციელდა აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამის ინიცირება (ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტის სხდომის ოქმი 2019 წლის 22 ნოემბრის ოქმი №3, 22.11.2019) და შეიქმნა პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი (ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი (5 წევრი), დამსაქმებელი (2 წევრი), პროგრამის სტუდენტი და კურსდამთავრებული), განისაზღვრა სამუშაო ჯგუფის წევრთა პასუხისმგებლობები და შესასწავლი ასპექტები. პროგრამის შემუშავების პროცესში ჯგუფს კონსულტირებას უწევდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სამუშაო პროცესში შესწავლილ იქნა პროგრამის შინაარსობრივი საკითხები, პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფა (ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის

(ლაბორატორიული აღჭურვილობის, მასალების, სათანადო ლიტერატურის და სხვ.) არსებობა), ადამიანური რესურსის (პროგრამის კომპონენტების სპეციფიკის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე განმახორციელებელი პერსონალის) საკმარისობა, პროგრამის განხორციელების პროცესში უკვე მიღებული შედეგები, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოსაზრებები, პროგრამის შესაბამის სფეროში შრომის და განათლების ბაზარზე არსებული ტენდენციები და სხვ. ასევე, განხორციელდა პროგრამის შიდა და გარე შეფასება. დასრულებული პროგრამის პროექტი განიხილა და დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ. ზემოთ აღნიშნული დასტურდება როგორც თვითშეფასების ანგარიშის დანართად წარმოდგენილი მასალებით, ისე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუს შედეგებით.

თვითშეფასების ჯგუფის წევრებმა, პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებლებმა, ასევე დამსაქმებლებმა დეტალურად ისაუბრეს პროგრამის შემუშავების პროცესზე, გათვალისწინებულ რჩევებზე და რეკომენდაციებზე (მაგალითად, პროგრამას წინაპირობის სახით დაემატა B2 დონეზე უცხოური ენის ფლობის მოთხოვნა, რიგ შემთხვევაში გადაიხედა სწავლების მეთოდები და პროგრამის კომპონენტების შინაარსი - დაემატა აქტუალური საკითხები და სხვ.). ასევე, პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს პროგრამის შემდგომ განვითარებაზე (მაგალითად, ჩეხეთის უსდ-სთან კონსულტაციის შედეგად ინგლისურენოვანი არჩევითი სასწავლო კურსების დამატება და სხვ.). ინტერვიუში მონაწილე ყველა პირი აღნიშნავდა და ასაბუთებდა, რომ პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მისი აქტუალობა, შინაარსი და რესურსებით უზრუნველყოფა, დამსაქმებლებთან და უცხოეთის უსდ-სთან - ჩეხეთის ტექნიკურ უნივერსიტეტთან მჭიდრო კავშირი და აქტიური თანამშრომლობა. ასე, მაგალითად, დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამა სფეროსთვის მნიშვნელოვანი და აქტუალურია, არის ახალგაზრდა კადრების ძირითადი მიმწოდებლები დასავლეთ საქართველოში, ისინი აკვირდებიან პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს და ირჩევენ მომავალი დასაქმებისთვის. დამსაქმებელთა თქმით, მოსალოდნელია, რომ უახლოეს მომავალში გაიზრდება ამ კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე მოთხოვნა, რაც, თავის მხრივ, გაზრდის დასაქმების მაჩვენებელს, რომელიც დღესაც საკმაოდ მაღალია. პროგრამისთვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტთან თანამშრომლობა - მაგალითად, ამ თანამშრომლობის ფორმატში პროგრამისთვის შექმნილ იქნა Matlab-ის 10 ლიცენზია და სპეციფიკური პროგრამა, რომელსაც იყენებს მაგ., EnergoProGeorgia. ჩეხეთის უნივერსიტეტთან პარტნიორობის ფორმატში პროგრამის ორი მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს შეასრულებს პარტნიორ დაწესებულებაში, რაც ხელს შეუწყობს კვლევების აქტუალობას და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებას. სხვადასხვა ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად, გამოიკვეთა მიმდინარე პროცესებში უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების აქტიური ჩართულობა და მათი წამყვანი როლი. პროგრამის განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ იღებენ დროულ და ამომწურავ კონსულტირებას, დაიგეგმა და ჩატარდა სხვადასხვა განმავითარებელი ტრენინგები (მაგალითად, სწავლა-სწავლების მეთოდებში) და ა.შ.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ინფორმაციის შესწავლის, ასევე ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა - არსებობს საკმარისი თეორიული საფუძვლები, უზრუნველყოფილია პროცესების დოკუმენტირება და სხვადასხვა პერიოდში მიღებულ შედეგებზე დაკვირვებისა და დადარების შესაძლებლობა. აღნიშნული დასტურდება უნივერსიტეტში მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით;
- პროცესების კომპლექსურობა - პროგრამაზე მუშაობის პროცესში იყო შესწავლილი პროგ-

რამისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი, იყო იდენტიფიცირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი ასპექტები, განხორციელდა ცვლილებები პროგრამის განვითარების მიზნით. იყო უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულებების შესწავლა, პროგრამის განხორციელებით უკვე მიღებული გამოცდილების და გარე შეფასების გათვალისწინება და სხვ. განხორციელდა პროგრამის როგორც შიდა, ისე გარე შეფასება დარგის სპეცისლიტის (საქართველოს ერთ-ერთო უსდ-ს პეროფესორის) მიერ. აღნიშნული დასტურდება როგორ დოკუმენტურად, ისე ინტერვიუს შედეგებით.

- პროცესების თანამშრომლობითი ხასიათი - პროგრამის მოდიფიცირება განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, არსებული მარეგულირების წესების შესაბამისად, გამჭვირვალედ და კომპლექსურად. დგინდება როგორ მიმდინარეობდა პროგრამის მოდიფიცირების პროცესი, ვინ იყო ჩართული ამ პროცესში, რა საკითხების გადაჭრაზე მიმდინარეობდა მუშაობა და სხვ. პროცესებში ყველა მონაწილე პირი ინფორმირებულია განხორციელებული პროცესების და მიღებული შედეგების შესახებ.
- პროგრამის შეფასება - განხორციელდა პროგრამის როგორც შიდა, ისე გარე შეფასება დარგის სპეცისლიტის (საქართველოს ერთ-ერთო უსდ-ს პეროფესორის) და დამსაქმებლების მიერ. აღნიშნული დასტურდება როგორ დოკუმენტურად, ისე ინტერვიუს შედეგებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №8 (21/22), 09.11.2021);
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) - საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი (EP-QA 1.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა (1-EP-QA 1.1.); საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა (3-EP-QA 1.1); კურიკულუმის ფორმა (4.1-EP-QA 1.1); პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა (4.2-EP-QA 1.1); სილაბუსის ფორმა (4.3-EP-QA 1.1); უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (4-EP-QA 1.1);
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.1) და დანართები - ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ (1-EP-QA 1.2); ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების შესახებ (2-EP-QA 1.2); ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ (3-EP-QA 1.2); ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა (4-EP-QA 1.2);
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3);
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების პოლიტიკებში ცვლილებების შეტანის შესახებ (დადგენილებები: №39(20/21), 15.07.2021; №8(21/22), 09.11.2021);
- დოკუმენტი „პოლიტიკა, პროცესები, დანართები“.
- კვლევის განვითარების პოლიტიკა (RE-QA);
- თვითშეფასებისა და ანგარიშების პროცედურა (ME-QA-3.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (1-ME-QA-3.1); დეპარტამენტის წლიური ანგარიში (2-ME-QA-3.1); ფაკულტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (3-ME-QA-3.1); სამსახურების წლიური ანგარიში (4-ME-QA-3.1);
- მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა (ME-QA-3.2);
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (2015, 2016, 2017-2028, 2018-2019, 2019-2020);
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (2017, 2018-2019, 2019-2020, 2020-2021);
- პროგრამის გარე შეფასება;
- პროგრამის შიდა შეფასება;
- საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი (№7, 10.05.2019);
- საინიციატივო ჯგუფის სხდომის ოქმები (№1, 19.04.2019; №2, 22.05.2019; №3, 31.05.2019; №4,

<p>12.06.2019; №5, 19.19.2019);</p> <ul style="list-style-type: none"> o აკადემიური საბჭოს დადგენილება (№2 (20/21), 17.09.2021) პროგრამის დამტკიცების შესახებ; o მემორანდუმი და ხელშეკრულება ჩეხეთის ტექნიკურ უნივერსიტეტთან; o დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი; o შრომის ბაზრის ანალიზი; o ინტერვიუს შედეგები. o აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით №39 (20/21), 15.07.2021 განხორციელებული ცვლილებები „უმაღლესი (აკადემიურ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციაში (დანართი 4-EP-QA 1.1.) - დაწესებულების არგუმენტირებული პასუხის დანართად წარმოდგენილი დოკუმენტი.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>-</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში):</p> <p>-</p>
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.2 გარე ხარისხის შეფასება</p>
<p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დაწესებულებაში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს გარე შეფასება. აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში გარე შეფასება განხორციელდა 2012 წელს პროგრამაზე "ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი", რომელიც წარმოადგენს პროგრამის „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“ წინამორბედს. აღნიშნული შეფასების შედეგად შემუშავდა რეკომენდაცია („სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დახვეწა-განვითარება“). 2019 წელს ამავე პროგრამაზე განხორციელდა მონიტორინგი (შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2012 წლის 19 აპრილის N4 ოქმში მოცემული რეკომენდაციის შესრულება), შემოწმების შედეგად პროგრამამ დადებული შეფასება მიიღო (შეფასდა სამი სტანდარტი - პირველი, მეორე და მეოთხე; პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც შესაბამისობაში მოთხოვნებთან, მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან). გარე შეფასებების პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, ეტაპობრივად დაიხვეწა პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაემატა ახალი გამოცემის ქართულენოვანი სავალდებულო ლიტერატურა (რეკომენდაცია „პროგრამაში გამოყენებული ტერმინოლოგია სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან“ დღეისათვის გახდა არააქტუალური მითითებულ ბრძანებაში შესული ცვლილებების გამო).</p>

გარე შეფასების მიზნით აკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამა განსახილველად გადაეცა დარგის სპეციალისტს (საქართველოს ერთ-ერთი უსდ-ს პროფესორს), რომელმაც დადებითად შეაფასა პროგრამა და აღნიშნა, რომ პროგრამა არის აქტუალური, პროგრამის სასწავლო კომპონენტი მოიცავს ენერგეტიკული სექტორის ძირითად მიმართულებებს, პროგრამის შინაარსი ქმნის სწავლის იმ შედეგებს, რაც მოეთხოვება დარგის მაგისტრს და ემსახურება კვალიფიციური კადრების მომზადებას. ასევე, გარე შემფასებელმა გასცა რამდენიმე რეკომენდაცია. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით ამ რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია, ნაწილი კი (მაგალითად, კონცენტრაციების დამატება) იქნება გათვალისწინებული პროგრამის განვითარების პროცესში. გარე შემფასებლის (დარგის სპეციალისტის) პოზიცია დაფიქსირებულია ოფიციალური წერილის ფორმით. ინტერვიუს დროს პროგრამის აქტუალობაზე ისაუბრეს პოტენციურმა დამსაქმებლებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ განიხილეს პროგრამის დასრულებული პროექტი, პროგრამა თავისი შინაარსით პასუხობს დარგში არსებულ მოთხოვნებს და იმსახურებს დადებით შეფასებას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები;
 - ვიზიტის დროს დათვალიერებული პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (ფაქტობრივი მდგომარეობა);
 - პროგრამის გარე შეფასება დარგის ექსპერტების მიერ (პროგრამაზე გამოხმაურების წერილი);
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
-

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- მიზანშეწონილია, პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს როგორც საქართველოს უსდ-ს, ისე უცხოეთის უსდ-ს - პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლ(ებ)ის მიერ, რაც ხელს შეუწყობს თანამედროვე ტენდენციების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-

- შეფასება**
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებაში მოქმედი წესების თანახმად, პროგრამის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის (EP-QA) საფუძველზე დადგენილი შეფასების პროცედურების გამოყენებით. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი რეგულირდება „მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურით“ (EP-QA 1.3), რომელიც გამოიყენება როგორც პროგრამების შეფასებისათვის, ისე მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის. მითითებული დოკუმენტით განსაზღვრულია პროცედურის ეტაპები (ფაზები) და მათი დასრულების ვადები, ასე, მაგალითად: 1) პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების /ცვლილებების განსაზღვრის (იდენტიფიცირების) ფაზა უნდა დასრულდეს 15 ივნისამდე (ცვლილებების შემთხვევაში); 2) პროგრამის განვითარებისათვის საჭირო საჭირო ღონისძიებების /ცვლილებების შემუშავების ფაზა უნდა დასრულდეს 1 ივლისამდე (ცვლილებების შემთხვევაში); 3) პროგრამის განვითარებისათვის საჭირო საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების განხილვის და დამტკიცების ფაზა უნდა დასრულდეს 30 ივლისამდე (ცვლილებების შემთხვევაში).

პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს/ცვლილებებს განსაზღვრავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც თანამშრომლობს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და უწყვეტი განათლების ცენტრთან და წარუდგენს პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების კონკრეტულ ჩამონათვალს. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს პროგრამის შეფასების შედეგებით, მათზე დაყრდნობით განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი ღონისძიებების/ცვლილებების შედეგებს. აღნიშნულზე დაყრდნობით მტკიცდება საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების/ცვლილებების კონკრეტული ჩამონათვალი. ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პროგრამის განმახორციელებლები, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვების ჩატარებაზე პასუხისმგებელია პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც, ასევე, ადგენს კითხვარებს (წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშის დანართების სახით), შეისწავლის გამოკითხვის შედეგებს და ანალიზს უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს.

დაწესებულებაში მოქმედი პოლიტიკის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის უნივერსალურ ინსტრუმენტს წარუდგენს თვითშეფასებისა და ანგარიშების პროცედურა (ME-QA 3.1), რომელიც გამოიყენება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის მუდმივი გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია:

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (2015, 2016, 2017-2018, 2018-2019, 2019-2020) - მოიცავს ინსტიტუციის დონეზე განხორციელებული აქტივობების ზოგად მიმოხილვას;
- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (2017, 2018-2019, 2019-2020, 2020-2021) - მოიცავს ფაკულტეტის დონეზე არსებული ვითარების მიმოხილვას. აღსანიშნავია, რომ ანგარიშებში არ არის გამიჯნული ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების შეფასების შედეგები (ხორციელდება 6 საბაკალავრო, 4 სამაგისტრო და 2 სადოქტორო პროგრამა; <http://www.at su.edu.ge/index.php/programs-teqnikuri/programebi-teqnikuri-2019-2020>), რის გამო შეუძლებელია კონკრეტული პროგრამის შეფასების შედეგებზე მსჯელობა. ასე, მაგალითად, რუბრიკა „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი“ (იხ. გვ. 4-17) მოიცავს ბაკალავრიატის სასწავლო კურსების შეფასების შედეგებს (მაგ., მათემატიკური ანალიზი 2, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, უცხო ენა 1, საინ-

ჟინრო მათემატიკა 2, წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია, საინჟინრო გრაფიკა, ელექტრული წრედების თეორია და ა.შ.). რუბრიკაში „გამოკითხვები“ (იხ. გვ. 8-12) მითითებულია „გამოკითხულთა 45,5% მუშაობს კვალიფიკაციის შესაბამისად, მხოლოდ 27,3% დასაქმებულია სხვა სფეროებში. გამოკითხულთა 54,5% სწავლობდა ან სწავლოს მაგისტრატურაში, კითხვაზე „რა შენიშვნები გაქვთ განვლილი პროგრამის მიმართ?“ პასუხები გადანაწილდა შედეგნაირად: „სასწავლო კომპონენტი უნდა იყოს უფრო კონკრეტული“ - 81,8%, „არჩევით მოდულში საგნების არჩევანი უფრო მეტი უნდა იყოს“ - 36,4%, „დასამატებელია ზოგიერთი კურსი“ - 18,2%; შეკითხვაზე „რამდენად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დროს მიღებული ცოდნა და კომპეტენციები თქვენს სამუშაოს მოთხოვნებს?“, კურსდამთავრებულების პრიორიტეტები შემდეგნაირად გადანაწილდა „მთლიანად შეესაბამება“ - 9.1%, ნაწილობრივ შეესაბამება - 54,1%, ნაკლებად შეესაბამება - 9.1%, არ შეესაბამება - 9.1% და ა.შ.

გარდა ზემოთ მითითებული ანგარიშებისა, დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის შემუშავების პროცესში გამოყენებული „პროგრამის შიდა შეფასების“ დოკუმენტი და პროგრამის მიზნებისთვის განხორციელებული დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი (რესპოდენტები: „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს, საქართველოს სახელმწიფო ელექტრული სისტემის, ს/ს „ატლანტიკ-გრუპი“-ს და სხვა ენერგეტიკული დაწესებულებების წარმომადგენლები; შესწავლის ასპექტები: სირთულეები საინჟინრო კადრებთან დაკავშირებით; პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალი; პროგრამის სტრუქტურა; პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა დამსაქმებლის საჭიროებებთან). ამავე დოკუმენტში მოცემულია „კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები“ (რესპოდენტები: მოქმედი სამაგისტრო პროგრამების „ელექტროენერგეტიკა“ და „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი“ 50-მდე კურსდამთავრებული; დასმული კითხვები: რამდენად სწორადაა შედგენილი პროგრამა; შენიშვნები განვლილი პროგრამის მიმართ, „რა არის საჭირო პროგრამის განვითარებისათვის“, „რამდენად შეესაბამება პროგრამაზე სწავლის დროს მიღებული ცოდნა და კომპეტენციები სამუშაოს მოთხოვნებს?“ და ა.შ. პროგრამის ხელმძღვანელის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში. ასე, მაგალითად, იყო გათვალისწინებული კურსდამთავრებულების მოსაზრება პროგრამაში „ტექნიკური თარგმანის“ სასწავლო კურსის დამატების შესახებ.

პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გარდა უკვე მოქმედი შეფასების მექანიზმებისა, შემუშავებულია პროგრამის შედეგების მიღწევის შეფასების მექანიზმი - პროგრამის თითოეული შედეგისთვის სამიზნე ნიშნულის დადგენა და მათთან მიღებული შედეგის დადარება. ამ მექანიზმის თავისებურებები მითითებულია დოკუმენტში „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“. სწავლის შედეგების შეფასების სქემა“, რომელშიც თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია შეფასების რუბრიკა (პროგრამის შედეგის ფორმირებაში მონაწილე პროგრამის კომპონენტი) და სამიზნე ნიშნული (ქულობრივი მაჩვენებელი და სტუდენტთა რაოდენობა, რომელიც ამ ნიშნულს მიაღწევს). ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება პროგრამის მთლიანი ციკლის (2 წელი) დასრულების შემდეგ, ხოლო ყოველწლიურ შესწავლას და რეაგირებას დაექვემდებარება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი, რაც, ასევე, მნიშვნელოვანია პროგრამის საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების და პროგრამის ხელმძღვანე-

ლის განმარტებით, საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით, გათვალისწინებულია Bath Spa University-ის გამოცდილება ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკის შემუშავების მიზნით და London Middlesex University-ის გამოცდილება თანამედროვე მიდგომების დასანერგად (აღნიშნული ინფორმაცია მითითებულია პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში). ასევე, პროგრამის შემუშავების პროცესში განხორციელდა სხვა უსდ-ების ანალოგიურ/მომიჯნავე პროგრამებთან დადარება, კერძოდ: საქართველოს უსდ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, უცხოეთის უსდ-ები - Graz University of Technology (ავსტრია), Kaunas University of Technology (ლიტვა), University of Zagreb (ქორვატია), Norwegian University of Science and Technology (ნორვეგია), რაზეც დეტალურად ისაუბრეს პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, უახლოეს მომავალში განხორციელდება დადარება ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამასთან, რაც აქტუალურია ამ დაწესებულებასთან აქტიური პარტნიორული ურთიერთობების გათვალისწინებით (2021 წელს გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმი და ხელშეკრულება, პარტნიორი უსდ-ს წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის განვითარების და ხელშეწყობის პროცესებში, ატარებენ ტრენინგებს და სხვ.).

ინტერვიუს დროს პროგრამის განმახორციელებლებმა დეტალურად ისაუბრეს პროგრამის და მისი კომპონენტების შესახებ და აღნიშნეს, რომ პროგრამის შეფასების პროცესი არის სისტემატური, კოორდინირებული და თანამშრომლობითი. ინტერვიუში ყველა მონაწილე ჯგუფმა (პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები) მიიჩნია, რომ მომავალშიც უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო პარტნიორებთან და დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის შემდგომი განვითარებისა და წარმატებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №8 (21/22), 09.11.2021);
- o საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა (EP-QA 1.1) - საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირების დოკუმენტი (EP-QA 1.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის იდეის აპლიკაციის ფორმა (1-EP-QA 1.1.); საკვანძო პარამეტრებისა და რესურსების შესაბამისობის ფორმა (3-EP-QA 1.1); კურიკულუმის ფორმა (4.1-EP-QA 1.1); პროგრამის სასწავლო გეგმის ფორმა (4.2-EP-QA 1.1); სილაბუსის ფორმა (4.3-EP-QA 1.1); უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია (4-EP-QA 1.1);
- o საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა (EP-QA 1.1) და დანართები - ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ (1-EP-QA 1.2); ინფორმაცია პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული) განვითარების შესახებ (2-EP-QA 1.2); ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ (3-EP-QA 1.2); ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა (4-EP-QA 1.2);
- o მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა (EP-QA 1.3);
- o საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა-EP-QA;
- o თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა (ME-QA-3.1) და დანართები - საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (1-ME-QA-3.1); დეპარტამენტის წლიური ანგარიში (2-ME-QA-3.1); ფაკულტეტის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში (3-ME-QA-3.1); სამსახურების წლიური ანგარიში (4-ME-QA-3.1);
- o მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა (ME-QA-3.2);
- o უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (2015, 2016, 2017-2028, 2018-2019, 2019-2020);
- o ფაულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები (2017, 2018-2019, 2019-2020, 2020-2021);

<ul style="list-style-type: none"> ○ კითხვარები (დამსაქმებლების კითხვარი; კურსდამთავრებულთა კითხვარი; კითხვარი დამამთავრებელი კურსის სტუდენტთათვის; მეცადინეობების ხარისხის შეფასება); ○ პროგრამის შიდა შეფასება; ○ დოკუმენტი „ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“. სწავლის შედეგების შეფასების სქემა“; ○ დოკუმენტი „დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი“; შრომის ბაზრის ანალიზი; ○ უცხოეთის უსდ-ების (Graz University of Technology (ავსტრია), Kaunas University of Technology (ლიტვა), University of Zagreb (ქორვატია), Norwegian University of Science and Technology (ნორვეგია) განხილული პროგრამები.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)
არ ართვის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, საფეხური:

“ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია“, მაგისტრატურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 42

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

შალვა კვიციანი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ავთანდილ თავხელიძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

გივი გავარდაშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ გვიანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

დავით კაკიაშვილი

